ბრძანება:**ბ115.115222831**
თარიღი:**10/10/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2022 წლის 11 ოქტომბერს, 12-00 საათზე, რომელიც გაიმართება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 11 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

2.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ოქტომბრის №114-1142227826 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
დავით ვერულიძე)

2.2.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის №114-11422278115 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის N114-

1142227859 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

2.4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 სექტემბრის N114-11422273182 მომართვა-„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი